სსიპ შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის

ბრძანება №25

2011 წ. 12 აპრილი

ქ. თბილისი

„მოსწავლე-გამომგონებელთა "ლეონარდო და ვინჩი" კონკურსის გამოცხადების, განაცხადების მიღების ვადების დადგენისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2011 წლის პირველი მარტის №12 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, „ნორჩ გამომგონებელთა კონკურსის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2011 წლის 23 თებერვლის №98 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-3 მუხლის, "საჯარო სამართლის იურიდიული პირის - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის წესდების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 28 ივლისის №62/ნ ბრძანებით დამტკიცებული წესდების მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის „ბ" და ,,თ" ქვეპუნქტების საფუძველზე

ვბრძანებ:

1. შევიდეს ცვლილება „მოსწავლე-გამომგონებელთა "ლეონარდო და ვინჩი" კონკურსის გამოცხადების, განაცხადების მიღების ვადების დადგენისა და კონკურსის პირობების დამტკიცების შესახებ" სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2011 წლის პირველი მარტის №12 ბრძანებაში და მე-2 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. მოსწავლე-გამომგონებელთა კონკურსში საკონკურსო განაცხადების სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში ან რაიონულ რესურს-ცენტრში

წარმოდგენის ვადა განისაზღვროს 2011 წლის 1 მარტიდან 2011 წლის 20 აპრილის 18:00 საათამდე.“

2. სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გენერალური დირექტორის 2011 წლის პირველი მარტის №12 ბრძანებით დამტკიცებული დანართის - ნორჩ გამომგონებელთა კონკურსი „ლეონარდო და ვინჩი“ კონკურსის პირობებში შევიდეს ცვლილებები და:

ა) მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. კონკურსის მეორე ეტაპზე გადადიან ის განაცხადები, რომელთაც დაიმსახურეს ყველაზე მაღალი შეფასებები. აღნიშნულ ეტაპზე გადასასვლელი განაცხადების რაოდენობას განსაზღვრავს საკონკურსო კომისია.“

ბ) ამოღებულ იქნეს მე-4 მუხლის მე-5 პუნქტი.

გ) მე-4 მუხლის მე-10 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„10. საკონკურსო განაცხადების ფონდის ელექტრონულ ბაზაში რეგისტრაციის, გამოგონების აღწერილობისა და ნახაზების შემცველი ელექტრონული ფაილების ატვირთვის ბოლო ვადაა 2011 წლის 18 აპრილის 24:00 საათი. აღნიშნული ვადის შემდგომ ფონდის ელექტრონული ბაზა დაიხურება განაცხადების რეგისტრაციისათვის.“

დ) მე-4 მუხლის მე-11 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„11. ხელმოწერილი „განაცხადი კონკურსში მონაწილეობის შესახებ“ ისევე, როგორც საილუსტრაციო მოდელი/მაკეტი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ფონდში ან რაიონულ რესურს-ცენტრში წარდგენილი უნდა იქნას 20 აპრილის 18:00 საათამდე.“

3. დაევალოს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საზოგადოებასთან ურთიერთობის კოორდინატორს თ. გორგოძეს ბრძანების საჯაროდ გაცნობისათვის განთავსება სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ვებგვერდზე: www.rustaveli.org.ge.

4. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლიდან ერთი თვის ვადაში ქ.თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიში (მის: დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ. №6).

სულხან სისაური